



საქართველოს საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებთ კანონმდებლობით

კანონი „ინოვაციების შესახებ“

2016 წლის 12 ივლისს ძალაში შევიდა კანონი „ინოვაციების შესახებ“. კანონის უმთავრესი მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, შექმნას ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ერთიანი სისტემა და გააძლიეროს ასეთი პროდუქტების საექსპორტო პოტენციალი.

კანონმა შემოიტანა ახალი სამართლებრივი ცნებები და ტერმინები. მათ შორის: ინოვაცია - რომელიც კანონით განიმარტება ფართოდ და მოიცავს არა მხოლოდ ინოვაციურ პროდუქტს, არამედ ინოვაციურ პროცესს, ორგანიზაციულ ინოვაციასა და ინოვაციურ მარკეტინგს.

აღნიშნულის პარალელურად, კანონი განსაზღვრავს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) ძირითად ამოცანებს, რომლის თანახმადაც სააგენტომ ხელი უნდა შეუწყოს ინოვაციების კომერციალიზაციას და მოახდინოს ინოვაციების და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება.

აგვისტო 2016

[კანონი „ინოვაციების შესახებ“](#)

[მნიშვნელოვანი ცვლილებები](#)

[საქართველოს სამოქალაქო](#)

[საპროცესო კანონმდებლობაში](#)

[მნიშვნელოვანი სასამართლო](#)

[გადაწყვეტილება](#)

განისაზღვრა, აგრეთვე, ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო დაფინანსებასთან დაკავშირებული პირობები და შედეგები.

კანონი აწესრიგებს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. კერძოდ განსაზღვრულია, რომ იმ ინოვაციური პროექტის განხორციელებისას, რომელიც ფინანსდება სააგენტოს მიერ, ინოვაციურ პროექტზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებები ეკუთვნის დამსაქმებელს ან შემკვეთს და არა უშუალოდ მის შემქმნელ პირს. თუმცა ინოვაციური პროექტის განმახორციელებელი ვალდებულია მიუთითოს გამომგონებლის სახელი პატენტის რეგისტრაციისას და მიღებული შემოსავლის მთავრობის მიერ განსაზღვრული წილი უნდა ეკუთვნოდეს გამომგონებელს.

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ გამოგონებაზე მიღებული პატენტიდან გამომდინარე უფლების მიმართ მოქმედებს საჯარო ინტერესის დაცვის მექანიზმი. იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი დროულად არ ატარებს პატენტის პრაქტიკაში გამოყენების ღონისძიებებს ან არსებობს ეჭვი, რომ არ გაატარებს მათ, სახელმწიფო უფლებამოსილია მოსთხოვოს ბენეფიციარს სხვა პირზე გასცეს პატენტიდან გამომდინარე ლიცენზია ან დადგენილი წესის მიხედვით თავად განკარგოს იგი.

აღნიშნული კანონი განაპირობებს ცვლილებების შეტანის საჭიროებას სხვადასხვა კანონში, კერძოდ:

- „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი
- „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“
- „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი

მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში

2016 წლის 3 ივნისს ძალაში შევიდა გარკვეული ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. ისინი უზრუნველყოფს მხარეთა მორიგებისა და მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის დროს დაინტერესებული მესამე პირების უფლებების დაცვას.

ცვლილებების თანახმად, მოპასუხემ სარჩელის ცნობამდე, ასევე, მხარეების მიერ საქმის მორიგებით დამთავრებამდე, სასამართლოში უნდა წარადგინოს ცნობა საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ დავის საგანზე (ნივთი, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე) რეგისტრირებული არ არის საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა. კანონის თანახმად, ცნობა უნდა შეიცავდეს, შესაბამისად, სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების მომენტისათვის ძალაში მყოფ მონაცემებს.

მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

2013 წლის 06 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ხელშეკრულების პირობების ბათილობასთან დაკავშირებით (საქმე #2ბ/4123-12).

სასამართლო განმარტავს, რომ გარიგება ან მისი ესა თუ ის პირობა ზნეობრივ ნორმებთან და საჯარო წესრიგთან შეუსაბამოა, როდესაც ის ეწინააღმდეგება სოციალური სამართლიანობის პრინციპს და ხელშეკრულების მხარეს აყენებს შეუსაბამოდ რთულ მდგომარეობაში.

შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც თითოეული გარიგების შინაარსი და მისი სამართლებრივი ბუნება, ასევე ის გარემოებები, რომელთა გათვალისწინებითაც დაიდო გარიგება.

სასამართლო მიიჩნია, რომ ფიზიკურ პირებს შორის დადებული სესხის ხელშეკრულების პროცენტის ოდენობის განსაზღვრა საკრედიტო დაწესებულებების საშუალო საპროცენტო განაკვეთზე ბევრად მეტი ოდენობით ეწინააღმდეგება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებისათვის დადგენილ კანონის ძირითად პრინციპებს, შესაბამისად, საჯარო წესრიგს და ზნეობრივ სტანდარტებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მოთხოვნებს აკმაყოფილებს მხოლოდ იმ ფარგლებში, რა საშუალო საპროცენტო განაკვეთებიც არის დამკვიდრებული ბაზარზე ეროვნულ თუ უცხოურ ვალუტაზე.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge

გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge



deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 225 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში Facebook, LinkedIn, Twitter.

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებული როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა
თბილისი, 0105 საქართველო

@ 2016 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.